საგრანტო განაცხადი

2026 წ. სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს

განმცხადებლის სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
თქვენ ხართ	☐**დევნილი** ☐**ეკომიგრანტი**
ვეტერანი ხართ თუ არა	☐ **დიახ** ☐ **არა**
მუდმივი საცხოვრებელი მისამართი: *(რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი/სოფელი, ქუჩა, ნომერი)*	
მიწი ნაკვეთის საკადასტრო კოდი, რომელიც არის საკარმიდამო და სადაც გსურთ სასათბურე მეურნეობის მოწყობა	
ტელეფონი	
დამატებითი ტელეფონი *(მაგ. ოჯახის წევრის)*	
ელ. ფოსტა *(არსებობის შემთხვევაში)*	

წარმოგიდგენთ საგრანტო განაცხადს **„სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის“** ფარგლებში.

ვადასტურებ, რომ ვიცნობ „სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამას“, მის პირობებს და **ვაცხადებ თანხმობას** ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს განაცხადში მითითებული ინფორმაციის გადამოწმებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მათ შორის, გამოთხოვილი იქნეს ინფორმაცია უფლებამოსილი პირებისგან/დაწესებულებებისგან. ამასთანავე, ვადასტურებ, ჩემს მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და პასუხს ვაგებ, არასწორად მოწოდებული ინფორმაციის შედეგად დამდგარ ზიანზე.

ვაცხადებ თანხმობას, წინამდებარე განაცხადის შემოწმებისა და განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ჩემი სახელის, გვარის მითითებით განთავსდეს სააგენტოს ვებ გვერდზე. ინფორმირებული ვარ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინებით განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე გამოგზავნით. ამასთან, შემიძლია აქტის, მატერიალური სახით ჩაბარების მიზნით, მივმართო სააგენტოს.

ყურადღება: გამარჯვების შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით, ბენეფიციარმა:

1. სააგენტოში უნდა წარმოადგინოს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც დაგეგმილია სასათბურე მეურნეობის მოწყობა;
2. სათბურში უნდა მოაწყოს სარწყავი სისტემა, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიძინოს წყლის რეზერვუარის მოსაწყობად საჭირო ნივთები;
3. უზრუნველყოს დენის წყაროს მიყვანა სათბურში;
4. უზრუნველყოს სასათბურე-სამეურნეო საქმიანობა.

საგრანტო განაცხადი

2026 წ. სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა

ინსტრუქცია

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია, თუ:

☐ განმცხადებელი არის დევნილი ან/და განსახლებული ეკომიგრანტი (ამასთან ეკომიგრანტი არ უნდა ცხოვრობდეს დაზარალების ადგილზე);
☐ განმცხადებელი არის მინიმუმ 2 არასრულწლოვანი შვილის მშობელი;
☐ მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა მოეწყოს სათბური არის განმცხადებლის ან/და მისი ოჯახის წევრის საკუთრება; ამასთან, საკუთრება რეგისტრირებული უნდა იყოს პროგრამის ფარგლებში, განაცხადების მიღების ვადის გამოცხადებამდე;
☐ მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა მოეწყოს სათბური არის **საკარმიდამო,** სადაც განმცხადებელი ცხოვრობს მუდმივად;
☐ მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა მოეწყოს სათბური, არის საკმარისი ფართობის სათბურის მოსაწყობად, არ არის მნიშვნელოვნად დაფერდებული, ქვიანი, დაჭაობებული, დაკავებული შენობა-ნაგებობით, ნერგებით და სხვა;
☐ განმცხადებლი ან/და მისი ოჯახის წევრი არ არის დაფინანსებული სააგენტოს სასათბურე მეურნეობების პროგრამის ფარგლებში, ასევე, სააგენტოს სხვა პროგრამებში - 2022 და შემდეგ წლებში; არ არის დაფინანსებული სააგენტოს პროგრამებში 3 000 და მეტი ლარის ღირებულებით (ჯამურად); არ არის დაფინანსებული სხვა ორგანიზაციების პროგრამებში 10 000 ლარის და მეტი ღირებულებით (ჯამურად);
☐ განმცხადებელს/მის ოჯახს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არ უფიქსირდება 3 ჰექტარი და მეტი ზომის მიწის ნაკვეთი.

1. **აღწერეთ, ხართ თუ არა დაკავებული ამჟამად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით?** ☐ **არა** ☐ **დიახ**

(დეტალურად აღწერეთ თქვენი გამოცდილება აგრარული მეურნეობის მიმართულებით, რა კულტურები მოგყავთ, რა ფართობზე და რა რაოდენობით, მოყვანილი პროდუქციის მოხმარება ხდება მხოლოდ ოჯახში თუ ახდენთ რეალიზაციასაც).

2. **გაქვთ თუ არა სათბური ამჟამად?** (არ დაკმაყოფილდება განაცხადი, თუ განმცხადებელს უკვე აქვს 80 კვ.მ. -ზე დიდი ზომის სათბური, გამართული, მუშა მდგომარეობაში ან სათბური, რომელსაც არ იყენებს მიზნობრივად).

☐ არ მაქვს
☐ მაქვს მცირე ზომის სათბური (იგულისხმება საჩითილე, ხელნაკეთი, გაუმართავი სათბური)
☐ მაქვს 80 კვ.მ. -ზე დიდი ზომის სათბური, გამართული, მუშა მდგომარეობაში

3. **მონიშნეთ რა ზომის სათბურის მოწყობა გსურთ?** (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

☐ 80 კვ. მ. (8მ * 10მ); ☐ 120 კვ. მ. (10მ*12მ); ☐ 120 კვ. მ. (8მ * 15მ); ☐ 160 კვ. მ. (8მ * 20მ)

4. **დაფინანსების შემთხვევაში, მოკლედ აღწერეთ რა მიზნით გსურთ სათბურის მოწყობა**

აღწერეთ რის მოყვანას აპირებთ სათბურში, რა მოცულობით, რა პერიოდულობით, რა მიზნით (რეალიზაცია, საოჯახო მოხმარება, ორივე), სად და როგორ გეგმავთ რეალიზაციას (ადგილიდან, ჩაბარება) და ა.შ.)

საგრანტო განაცხადი

2026 წ. სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა

5. **თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს მიუღია თუ არა რაიმე სახის გრანტი/სუბსიდია?**
   - ☐ არა;
   - ☐ დიახ

მიუთითეთ ვინ მიიღო, რა ინვესტიცია, რა ღირებულების, როდის და რომელი ორგანიზაციიდან:

საგრანტო განაცხადს თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ☐ განმცხადებლის პირადობის ან პასპორტის ასლი;
- ☐ ვეტერანის მოწმობა - იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის ვეტერანი და სურს აღნიშნული ინფორმაცია გათვალისწინებული იქნეს განაცხადის შეფასების დროს;
- ☐ არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობის ასლები;
- ☐ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არის განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში და სადაც უნდა მოეწყოს სასათბურე მეურნეობა;

  იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა განთავსდეს სასათბურე მეურნეობა არ არის უშუალოდ განმცხადებლის საკუთრება და არის განმცხადებლის ოჯახის წევრის საკუთრება და ეს პირი არ ფიქსირდება სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით განმცხადებლის ოჯახის წევრად, წარმოდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდება განმცხადებლის და ამ პირის ერთად ცხოვრების-ერთი ოჯახის წევრობის ფაქტი. ასეთ შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთ-ერთი ქვემოთ მითითებული დოკუმენტი:
- ☐ **ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობა** ან/და
- ☐ **ქორწინების მოწმობის ასლი** (იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი და მიწის მესაკუთრე არიან მეუღლეები) ან/და
- ☐ **საინფორმაციო ბარათი** გაცემული მიწის მესაკუთრის სახელზე - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან/სსიპ - იუსტიციის სახლიდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის შესახებ, სადაც ასახული რეგისტრაციის მისამართი და განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართი იქნება ერთიდაიგივე ადგილი.

სახელი, გვარი:	**ხელმოწერა:**	**თარიღი**